

## სამი ველოსიპედი

გიორგის საკუთრებაში ჰქონდა სამი ველოსიპედი. ერთ მათგანი მას მოპარეს. ქურდისგან ეს ველოსიპედი შეიძინა ბადრიმ, ისე რომ არ იცოდა ნაქურადლი თუ იყო. მეორე ველოსიპედი გიორგიმ ათხოვა აკაკის, რომელმაც იგი მართლსაწინააღმდეგოდ მიჰყიდა დავითს, რომელსაც ასევე ეგონა, რომ გამყიდველი იყო მისი მესაკუთრე. მესამე ველოსიპედი გიორგიმ ასევე ათხოვა ნინოს რომელმაც მართლსაწინააღმდეგოდ იგი აჩუქა ლევანს, რომელსაც ასევე ეგონა რომ გამჩუქებელი მისი მესაკუთრე იყო. ერთ დღეს გიორგიმ ქუჩაში შენიშნა, რომ მის მოპარულ ველოსიპედს დაატარებდა ბადრი და მოითხოვა მისი გადმოცემა, რაზეც უარი მიიღო. ამასობაში გიორგიმ გაიგო დანარჩენი ორი ველოსიპედის ბედი და მოითხოვა მათი გადმოცემა დავითისა და ლევანისაგან. როგორც ბადრიმ, ისე დავითმა და ლევანმა, გიორგი უარით გაისტუმრეს. ამის შემდეგ გიორგიმ მიმართა სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნით.

კითხვა:საფუძვლიანია თუ არა გიორგის მოთხოვნა ბადრის, დავითისა და ლევანის მიართ?

კაზუსის შინაარსიდან გამომდინარე, გიორგი ითხოვს ბადრის, დავითისა და ლევანისაგან ველოსიპედების დაბრუნებას.

მოთხოვნის წარმოშვა: გიორგის შეიძლება ჰქონდეს ბადრის, დავითისა და ლევანისაგან ველოსიპედების დაბრუნების მოთხოვნის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ სსკ-ის) 187-ე მუხლის საფუძველზე. ამ მუხლის თანახმად „...“ სსკ-ის 187-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოსათხოვად აუცილებელია არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: 1)შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. 2)ნივთი დაკარგა მესაკუთრემ ან მოპარეს მას, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო. მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადგენად აუცილებელია შემოწმდეს წინაპირობის მიმართება კაზუსით გათვალისწინებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასთან:

### 1)არის თუ არა ბადრი მესაკუთრე?

ამის გასარკვევად აუცილებელია დადგინდეს, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვით, საკუთრებაში შეიძინა თუ არა ბადრიმ ველოსიპედი, ა)ქურდსა და ბადრის შორის დაიდო სსკ-ის 477-ე მუხლით გათვალისწინებული ნასყიდობის ხელშეკრულება რომლის თანახმადაც „ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მყიდველი კი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება“ კაზუსიდან ჩანს რომ, ქურდსა და ბადრის შორის დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება, თავისთავად ხელშეკრულების ფაქტი არ არის საკმარისი საკუთრების უფლების წარმოსაშობად. ბ)ქურდსა და ბადრის შორის დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისთვის საჭიროა განისაზღვროს

კეთილსინდისიერი შემძენია თუ არა ბადრი. სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად „კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო“ მაშასადამე ბადრი გამოდის არაკეთილსინდისიერი შემძენი, რადგან მან ველოსიპედი იყიდა ქურდისგან.

პირველი შუალედური დასკვნა: სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საფუძვლიანია გიორგის მოთხოვნა ბადრის მიმართ.

## 2) არის თუ არა დავითი მესაკუთრე?

ამის გასარკვევად აუცილებელია დადგინდეს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვით საკუთრებაში შეიძნა თუ არა დავითმა ველოსიპედი. ა) აკაკისა და დავითს შორის დაიდო სსკ-ის 477 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება რომლის თანახმადაც „ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მყიდველი კი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება“. კაზუსიდან ჩანს რომ აკაკისა და დავითს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. თავისთავად ხელშეკრულების ფაქტი არ არის საკმარისი საკუთრების უფლების წარმოსაშობად. ბ) აკაკისა და დავითს შორის დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისთვის საჭიროა განისაზღვროს კეთილსინდისიერი შემძენია თუ არა დავითი. რადგან აკაკის ველოსიპედი მიღებული აქვს არა სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილში წარმოდგენილი გზებით, არამედ თხოვებით, დადგება სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შედეგი: „შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერი. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე“. მაშასადამე, რადგან აკაკი არ იყო ველოსიპედის მესაკუთრე, მაგრამ დავითმა არ იცოდა ამის შესახებ, დავითი გამოდის კეთილსინდისიერი შემძენი.

მეორე შუალედური დასკვნა: სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უსაფუძვლოა გიორგის მოთხოვნა დავითი მიმართ.

## 3) არის თუ არა ლევანი ველოსიპედის მესაკუთრე?

ამის გასარკვევად აუცილებელია დადგინდეს, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვით, საკუთრებაში მიიღო თუ არა ლევანმა ველოსიპედი? ა) ნინოსა და ლევანს შორის დაიდო სსკ-ის 524-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც “ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით,, კაზუსიდან ჩანს, რომ ნინოსა და ლევანს შორის დაიდო ხელშეკრულება, თავისთავად ხელშეკრულების ფაქტი არ არის საკმარისი საკუთრების უფლების წარმოსაშობად. ბ) ნინოსა და ლევანს შორის დადებული

ხელშეკრულების ნამდვილობისთვის საჭიროა განისაზღვროს კეთილსინდისიერი მესაკუთრეა თუ არა ლევანი, რადგან ნინოს ველოსიპედი მიღებული აქვს თხოვების გზით, შეიძლება დამდგარიყო სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილთ გათვალისწინებული შედეგი. თუმცა, რადგან ველოსიპედი გადაცემულია უსასყიდლოდ, მაშნ დადგება სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შედეგი: „კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო“ მაშასადამე, ლევანი არაკეთილსინდისიერი მესაკუთრეა.

მესამე შუალედური დასკვნა: სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მეხედვით საფუძვლიანია გიორგის მოთხოვნა ლევანის მიმართ.

**ფინალური დასკვნა:** ბადრი ვალდებულია დაუბრუნოს გიორგის ველოსიპედი სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. დავითი არაა ვალდებული დაუბრუნოს გიორგის ველოსიპედი სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ლევანი ვალდებულია დაუბრუნოს გიორგის ველოსიპედი 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

## თმენასაც აქვს საზღვარი?!

გიორგის, რომელიც ცხოვრობდა საკუთარ სახლში, ესაზღვრებოდა სამი მეზობელი. ერთი მეზობელი, არჩილი, მუსიკოსი იყო პროფესიით და თითქმის მთელი დღის განმავლობაში პანინოზე უკრავდა და მოსვენებას არ აძლევდა გიორგის; მეორე მეზობელი ლევანი კი - ინდ. მეწარმე იყო და ვაჭრობდა ავტომობილის ძველი საბურავებით, არჩილს თავისი აივნებიდან ყიველდღე უხდებოდა ძველი საბურავების ცქერა, რომელიც ლევანს თავის ეზოში ჰქონდა უწესრიგოდ დაყრილი; მესამე მეზობლის - დავითის ხის ტოტები არჩილის ნაკვეთზე იყო გადასული ისე, რომ ამით არჩილს ზიანი არ ადგებოდა, უფრო მეტიც, ზაფხულში კიდევ ისვენებდა მის ჩრდილში. არჩილმა ერთ დღეს გიორგის მოსთხოვა პანინოზე დაკვრის შეწყვეტა, ლევანს ძველი საბურავებისაგან ეზოს გათავისუფლება, ხოლო დავითს ხის ტოტების მოჭრა.

კითხვა:რამდენად საფუძვლიანია არჩილის მოთხოვნა გიორგის, ლევანისა და დავითის მიმართ?

კაზუსის შინაარსიდან გამომდინარე, არჩილი ითხოვს: 1)გიორგისგან პანინოზე დაკვრის შეწყვეტას; 2)ლევანისგან ძველი საბურავებისგან ეზოს გათავისუფლებას; 3)დავითისგან ხის ტოტების მოჭრას.

მოთხოვნის წარმოშობა: არჩილს შეიძლება ჰქონდეს გიორგისგან პანინოზე დაკვრის შეწყვეტის, ლევანისგან ძველი საბურავებისგან ეზოს გათავისუფლების და დავითისგან ხის ტოტების მოჭროს მოთხოვნის უფლება საქართველოს სამოალაქო კოდექსის (შემდგომ სსკ-ის) 174-ე მუხლის საფუძველზე. ამ მუხლის თანახმად, „მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, ვალდებული არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება“. თუ გავითვალისწინებთ სსკ-ის 175-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დებულებასაც, რომლის მიხედვითაც „მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, კვამლის, ჭვარტლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას“. მივიღებთ იმ წინაპირობას, რომლებიც უნდა არსებობდეს სამეზობლო ემისიების აკრძალვის დროს: მოთხოვნის მქონდე პირს (მეზობელს) საკუთარი ნაკვეთით სარგებლობაში ხელს უდნა უშლიდეს მეზობელი ნაკვეთიდან თავი ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, კვამლის, ჭვარტლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი. მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადგენად აუცილებელია შემოწმდეს წინაპირობის მიმართება კაზუსით გთვალისწინებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასთან:

**1) უშლის თუ არა გიორგის პანინოზე დაკვრა არჩილს თავისი ნაკვეთით საეგებლობაში და ირღვევა თუ არა არჩილის უფლება?**

ამის გასაგებად აუცილებელია დადგინდეს, სამოქალაქო წესების დარღვევით, შეუშალა თუ არა გიორგიმ არჩილს ხელი ნაკვეთით სარგებლობაში და თუ შეუშალა, შესაძლებელია თუ არა ამ ზემოქმედების გამართლება.

როგორც კაზუსის მოცემულობაში ითქვა, გიორგი მუსიკოსია პროფესიით და მის მიერ ინსტრუმენტით სარგებლობა ხოცილდება ნორმალური სამეურნეო საქმიანობით. სსკ-ის 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „იგივე წესი მოქმედებს (მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს სამეზობლო ემისიები) იმ შემთხვევაშიც, როცა ზემოქმედება არსებითია, მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნივთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი საეგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა“. მაშასადამე, პროფ. ბ. ზოიძის თქმის, აღნიშნული ზემოქმედებათა აკრძალვა ტოლფასი ქინება მოცემული საქმიანობის გაუქმებისა.

პირველი შუალედური დასკვნა: სსკ-ის 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არჩილი ვერ მოითხოვს გიორგისგან პანინოზე დაკვრის აკრძალვას.

## **2) უშლის თუ არა ლევანის ნაკვეთზე დაყრილი ძველი საბურავები არჩილს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში?**

ამის გასაგებად აუცილებელია დადგინდეს, სამოქალაქო წესების დარღვევით, შეუშალა თუ არა ლევანმა ხელი ნაკვეთით სარგებლობაში არჩილს და თუ შეუშალა უმნიშვნელოდ ხომ არ დაირღვა არჩილის უფლება.

როგორც კაზუსის მოცემულობაში ითქვა, ლევანი ინდ. მეწარმეა და ავტომობილის ძველი საბურავებით ვაჭრობს. სწორედ ამითაა განპირობებული ისიც, რომ მისი ეზო ძველი საბურავებითაა დაფარული. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, არის თუ არა ლევანის ქმედება შიკანა, ანუ უფლების ბოროტად გამოყენება. სსკ-ის 115-ე მუხლის თანახმად, „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.“ თუ ჩავთვლით, რომ ლევანს სხვა ადგილი არ ჰქონდა ძველი ბორბლების დასაყრელად, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს არ არის შიკანა. რადგან გამოვრიცხეთ უფლების ბოროტად გამოყენება, ახლა საჭიროა დადგინდეს შეიძლება თუ არა ლევანის ქმედება შევრაცხოთ „იდეალურ ემისიად“. სსკ-ის 175-ე მუხლის თანახმად, „იგივე წესი მოქმედებს (მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს სამეზობლო ემისიები) იმ შემთხვევაშიც, როცა ზემოქმედება არსებითია, მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნივთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი საეგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა“. მაშასადამე, ლევანის ქმედება მიუხედავად იმისა რომ არსებითია (უმახინჯებს მეზობელს ხედს), მაინც არ შეიძლება მისი აკრძალვა, რადგან ადგილი აქვს „იდეალურ ემისიას“. ეზოში ძველი ბორბლების დაყრა განპირობებულია ლევანის პროფესიული საქმიანობით და თუ მისი ამგვარი ქმედება არ არის შიკანა, შესაბამისად ვერც აიკრძალება.

მეორე შუალედური დასკვნა: სსკ-ის 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არჩილი ვერ მოითხოვს ლევანისგან ეზოდან ბორბლების აღგებას.

## **3) უშლის თუ არა დავითის ხის ტოტები არჩილს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში და ირღვევა თუ არა არჩილის უფლება?**

ამის გასაგებად აუცილებელია დადგინდეს, სამოქალაქო წესების დარღვევით, ხელი შეუშალა თუ არა დავითმა არჩილს ნაკვეთით სარგებლობაში.

კაზუსის ფაბულიდან ვადგეთ, რომ არჩილს დავითის ხის ტოტები არ უშლიდა ხელს, მეტიც, ზაფხულობით ამ ხის ჩრდილშიც კი ისვენებდა. სსკ-ის 115-ე მუხლის თანახმად „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, დაუშვებელია უფლების ბოროტად გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“. მაშასადამე არჩილის ქმედება

შეირაცხება უფლების ბოროტად გამოყენებად, შიკანად. ამგვარი ქმედება სამართლებრივად გაუმართლებელია.

მესამე შუალედური დასკვნა: სსკ-ის 115-ე მუხლის მიხედვით, არჩილი ვერ მოითხოვს დავითისგან ხის ტოტების მოჭრას.

ფინალური დასკვნა:სსკ-ის 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არჩილი ვერ მოითხოვს გიორგისგან პიანინოზე დაკვრის აკრძალვას; სსკ-ის 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არჩილი ვერ მოითხოვს ლევანისგან ეზოს საბურავებისგან გათავისუფლებას; სსკ-ის 115-ე მუხლის მიხედვით, არჩილი ვერ მოითხოვს დავითისგან ხის ტოტების მოჭრას.